RONDELI FOUNDATION
GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

სომხეთი გზაგასაყარზე

ივლიანე ხაინდრავა

195

ექსპერტის აზრი

RONDELI FOUNDATION
საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

ივლიანე ხაინდრავა

სომხეთი გზაგასაყარზე

195

2022

პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო
ურთიერთობათა კვლევის ფონდი, 2022 წელი

ISSN 1512-4835
ISBN 978-9941-8-5144-5

2020 წლის 10 ნოემბერს სომხეთმა ახალ რეალობაში გაიღვიძა — გვიან ღამით ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ნიკოლ ფაშინიანმა, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა და რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა მოსკოვში ხელი მოაწერეს სამმხრივ განცხადებას[1], რომელმაც შეაჩერა 44 დღის მანძილზე სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მიმდინარე ომი მთიანი ყარაბაღისთვის. ერთგვერდიანი განცხადება სამ ძირითად ასპექტს მოიცავს[2]:

1. სამხედრო: ცეცხლის სრული შეწყვეტა, მებრძოლი მხარეების გაჩერება იმ პოზიციებზე, რომლებსაც ისინი 10 ნოემბრის 00 საათისთვის იკავებდნენ, სომხეთის მიერ ოკუპირებული ყარაბაღის მიმდებარე აზერბაიჯანის ყველა ტერიტორიის დეოკუპაცია, სომხური კონტროლის ქვეშ დარჩენილი ყარაბაღის ნაწილის პერიმეტრზე რუსეთის ფედერაციის სამშვიდობო კონტინგენტის განთავსება 5 წლით (შემდგომი 5 წლით ვადის ავტომატური გაგრძელებით, თუკი ამას არც ერთი მხარე არ შეეწინააღმდეგება);
2. ჰუმანიტარული: ტყვეებისა და დაღუპულთა ცხედრების ურთიერთგაცვლა, იძულებით ადგილნაცვალი პირების დაბრუნება ყარაბაღსა და მიმდებარე დეოკუპირებულ ტერიტორიებზე (ამ უკანასკნელის კონტროლი დიდსულოვნად დაუთმეს/გადააბარეს გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატს - UNHCR);
3. ინფრასტრუქტურული: სატრანსპორტო და ეკონომიკური კავშირების აღდგენა და მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მათ შორის — ყარაბაღის სომხეთთან დამაკავშირებელი ლაჩინის დერეფნისა და აზერბაიჯანის მის ექსკლავ ნახიჩევანისკენ სომხეთის ტერიტორიაზე გამავალი გზისა[3].

განცხადებაში გვერდი აუარეს მთავარ პოლიტიკურ საკითხს — მთიანი ყარაბაღის მომავალს. აზერბაიჯანის პოზიცია — ომი ჩვენი გამარჯვებით დასრულდა, სამართლიანობა აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის სახით აღდგა, არანაირი პოლიტიკური სტატუსის მინიჭებას ყარაბაღისთვის არ ვაპირებთ და ამ თემაზე დისკუსიებს ყოველგვარ აზრს მოკლებულად მივიჩნევთ — შეუვალი იყო და ასეთად რჩება. სომხეთში, ბუნებრივია, მყისიერი შეგუება ხანგრძლივი და, თითქოს, მოგებული კონფლიქტის ამგვარ დასასრულთან, როცა ყარაბაღში დარჩენილ სომხობას (თუკი ის იქ დარჩება) აზერბაიჯანში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობად აღიარების გარდა უკეთესი პერსპექტივა არ ელოდა, რთული წარმოსადგენი იყო; რთული, მიუხედავად იმისა, რომ ომი-2020-ის მიმდინარეობა იმთავითვე არაფერს სასიკეთოს უქადდა სომხეთს.

მწარე მარცხში სომხობამ დაადანაშაულა ყველა — თურქეთი, რუსეთი, დასავლეთი, საერთაშორისო ორგანიზაციები... აქა-იქ საქართველოს მიმართაც კი გაისმა საყვედური, აქაოდა საქართველოს საჰაერო სივრცის გამოყენებით თურქები აზერბაიჯანს იარაღს აწვდიან და სირიელ ბოევიკებსაც გადაისვრიან აზერბაიჯანული არმიის დასახმარებლადო (ოფიციალურ დონეზე, თუმცაღა, მსგავსი პრეტენზიები არ გაჟღერებულა, ხოლო სირიელთა მონაწილეობა ომში კითხვის ნიშნის ქვეშ დარჩა). თუმცა კაპიტულაციის გამო (ასე უწოდა ბევრმა სომხეთში 9 ნოემბრის განცხადებას) ბრალდებების მთავარი სამიზნე მაინც პრემიერ-მინისტრი ნიკოლ ფაშინიანი გახდა.

საპროტესტო ტალღას სათავეში მოექცნენ ექსპრეზიდენტები სერჟ სარქისიანი (2008-2018) და რობერტ ქოჩარიანი (1998-2008); ორივე ყარაბაღელია წარმოშობით და ე. წ. „ყარაბაღის კლანს“ განასახიერებს. მათი გზავნილი უკმაყოფილო მასებისთვის მარტივი იყო: ხომ გაფრთხილებდით, არ ვარგა ეს კაცი (ნ. ფაშინიანი) ქვეყნის ხელმძღვანელად? ხომ გეუბნებოდით, რომ მისი გახელისუფლების შემთხვევაში ყარაბაღის დაკარგვის რეალური საფრთხის წინაშე აღმოვჩნდებოდით? მაშინ (2018-ში) თუ არ დაგვიჯერეთ, ახლა მაინც გამოგვყევით, მოვიშოროთ თავიდან ფაშინიანი და მისი უმწიფარი გუნდი და ასე გადავარჩინოთ ის, რისი გადარჩენაც ჯერ კიდევ შეიძლება.

2020-2021 წლის ზამთარი სომხეთში ცხელი გამოდგა. საპროტესტო გამოსვლებმა სადღეღამისო ხასიათი მიიღო, თუმცა ფაშინიანისთვის ქუჩა სულაც არ გახლავთ უცხო სტიქია და მასაც არ გასჭირვებია კონტრდემონსტრაციებზე ხალხის მობილიზება[4]. არ გასჭირვებია კი, უპირველესად, იმიტომ, რომ სომხური საზოგადოების ნაწილში კონფლიქტის ღია ფაზაში გადასვლის შემდგომ განვლილი 30 წლის მანძილზე ყარაბაღის მოუგვარებელი პრობლემით „დაღლილობამ” კრიტიკულ ზღვარს მიაღწია. პოსტსაბჭოთა დამოუკიდებლობის მთელი პერიოდის განმავლობაში, 1915 წლის გენოციდთან ერთად, მთიანი ყარაბაღი ცენტრალური საკითხი იყო სომხეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკისა. მეტიც, ეს ორი თემა თანამედროვე სომხური იდენტობის ქვაკუთხედს წარმოადგენდა. ოღონდ, თუკი გენოციდი ეროვნული ტრაგედიის აპოთეოზი იყო, ყარაბაღი ეროვნული ტრიუმფის სიმბოლო გახდა. მაგრამ ეს სიმბოლო განუწყვეტელ მსხვერპლშეწირვას მოითხოვდა როგორც პირდაპირი (აზერბაიჯანთან ფრონტის ხაზზე პერიოდული შეტაკებების გამო), ისე გადატანითი მნიშვნელობით: სომხეთის ყველა რესურსი — პოლიტიკურ-დიპლომატიური, ეკონომიკურ-ფინანსური, დიასპორული — მიმართული იყო ყარაბაღის ნებისმიერ ფასად შენარჩუნებისკენ. ფასი კი მაღალი იყო: მუდმივ დაძაბულობაში ცხოვრება (აზერბაიჯანს არ დაუმალავს, რომ თუკი სამშვიდობო მოლაპარაკებები შედეგს არ გამოიღებს, ის სამხედრო ძალას მიმართავს); გამომფიტველი შეჯიბრი ბევრად უფრო შეძლებულ აზერბაიჯანთან ჯარის გაწვრთნა/აღჭურვა/შეიარაღებაში (arms race რომ უწოდებდნენ ცივი ომის ეპოქაში); მზარდი დამოკიდებულება რუსეთზე, რომელიც საკუთრივ სომხეთისა და ყარაბაღის უსაფრთხოების ერთადერთ გარანტად აღიქმებოდა (როგორც აღმოჩნდა, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს საკუთრივ რუსეთის ინტერესებს ემთხვეოდა); უარი ევროკავშირთან ასოცირებაზე (ესეც — რუსეთის დიქტატით); სატრანსპორტო და ენერგეტიკული პროექტების მიღმა დარჩენა ორ მეზობელთან (აზერბაიჯანსა და თურქეთთან) ჩაკეტილი საზღვრების პირობებში და სხვა და სხვა და სხვა.

ეროვნულ ენერგიას ხელისუფლება („ყარაბაღის კლანი“) ორი ათწლეულის მანძილზე მიმართავდა არა იმდენად ქვეყნის განვითარებაზე, რამდენადაც უთანასწორო ბრძოლაში გმირი-გამარჯვებულის იმიჯის კულტივაციაზე, რაც ზემოხსენებული მსხვერპლშეწირვის გამართლებას ემსახურებოდა. ნ. ფაშინიანისა და მისი ახალგაზრდა და პოლიტიკურად ახალბედა გუნდის 2018 წლის მიწურულს გახელისუფლება იმის უტყუარი ნიშანი იყო, რომ საზოგადოებაში, განსაკუთრებით კი, მის ახალგაზრდულ ნაწილში, იზრდება მოთხოვნილება სწორედ XXI და არა XX

(ან ბევრად უფრო ადრეულ) საუკუნეში საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებისა. ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, ყარაბაღის მოუგვარებელი პრობლემის მძევლად ყოფნა, რაც, თავის მხრივ, მოსკოვის მძევლად დარჩენას განაპირობებდა, ბევრისთვის მიუღებელი ხდებოდა.

2021 წლის 4 იანვარს პრემიერმა ნ. ფაშინიანმა გამოაქვეყნა წერილი, სათაურით „44-დღიანი ომის სათავეები", სადაც თანამემამულეებს იმ პროცესებისა და გარემოებების საკუთარი ანალიზი შესთავაზა, რომლებმაც საბოლოო შედეგად მარცხი გამოიღო[5]. მან, კერძოდ, აღნიშნა სომხური მხარის მიერ სხვადასხვა ეტაპზე დაშვებული შემდეგი შეცდომები: თანხმობა სამშვიდობო მოლაპარაკებების ფორმატებიდან საკუთრივ ყარაბაღის წარმომადგენელთა გარიყვაზე; მეოთხედი საუკუნის განმავლობაში გამარჯვებულის მდგომარეობის ვერგამოყენება კონკრეტული და მდგრადი პოლიტიკური შედეგის მისაღწევად; ამის ნაცვლად აზერბაიჯანის დაიმედება, რომ სამშვიდობო პროცესი ნაყოფს გამოიღებს, თუმცა ამ მიმართულებით რეალური ძვრა არ მომხდარა და ბაქოც არ მოტყუვდა (მისი აღიარებით, სწორედ ის — ნიკოლ ფაშინიანი — გახდა ის ადამიანი, რომელმაც საბოლოოდ გაუქარწყლა აზერბაიჯანს იმედები); ცალმხრივ დათმობებზე წასვლაზე უარი მაშინაც კი, როცა ვითარებამ საგანგაშო კონტურები შეიძინა სომხეთისთვის. ბუნებრივია, ფაშინიანმა სამხედრო ასპექტიც ახსენა - სომხეთი 2020-ის ომს 1980-იანი წლების იარაღით შეხვდაო მაშინ, როცა აზერბაიჯანის არმია ბრძოლის თანამედროვე საშუალებებით იყო აღჭურვილი. თუმცა, მთავარი დასკვნა, რომელსაც დაკვირვებული მკითხველი მისი წერილიდან გამოიტანს, შემდეგია: ***სომხეთმა აჰა მხოლოდ სამხედრო, აჰამედ პოლიტიკური მაჰცხიც იწვნია.*** ამგვარად, ნ. ფაშინიანი არ მორიდებია თვითკრიტიკას, მაგრამ ისარი თავის წინამორბედებზე და მთავარ მოწინააღმდეგეებზე — რ. ქოჩარიანსა და ს. სარქისიანზე — გადაიყვანა და, უნდა ითქვას, საკმაოდ დასაბუთებულადაც.

ოპონენტები ამან ვერ დააშოშმინა — პოლიტიკურთან ერთად, მათ სამხედრო საკითხებში არაკომპეტენტურობაც დააბრალეს ფაშინიანს; კერძოდ, ს. სარქისიანმა სახალხოდ გამოხატა გაოცება, რომ ომის მსვლელობაში სომხეთის ჯარმა არ გამოიყენა მის არსენალში არსებული რუსული ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტები („ისკანდერის" სახელწოდებით ცნობილი); მას მხარი აუბა რ. ქოჩარიანმაც და განაცხადა, რომ მთავრობა, რომელმაც წააგო ომი და დაკარგა მიწები, უნდა წავიდეს, რაც „ეროვნული აღორძინების წინაპირობაა". ფაშინიანმა საპასუხოდ აღნიშნა, რომ გამოყენებული „ისკანდერების" მხოლოდ 10% თუ აფეთქდა, რის გამოც მათი ეფექტიანობა მინიმალური აღმოჩნდა. კულმინაციას დაპირისპირებამ კი მაშინ მიაღწია, როცა სომხეთის გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე საჯაროდ არ დაეთანხმა პრემიერის ამგვარ შეფასებას. 24 თებერვალს ნ. ფაშინიანმა დაითხოვა ის თანამდებობიდან, მაგრამ დაუმორჩილებლობას წააწყდა, რაც სახელმწიფო გადატრიალების მცდელობად შეაფასა. ამ დროს ქუჩაც ბობოქრობდა და გაჩნდა განცდა, რომ ფაშინიანის ხელისუფლებას დიდი დღე აღარ ეწერა.

ვითარების განმუხტვას ორმა მთავარმა გარემოებამ შეუწყო ხელი: 1. სომხეთის შეიარაღებული ძალები უშუალოდ არ ჩარეულან პოლიტიკურ კრიზისში (ცალკეული მაღალჩინოსანი სამხედროების პოზიციამ ჯარის მიერ

იარაღის ჟღარუნში გამოვლენა ვერ პოვა), რადგანაც ომგამოვლილმა სამხედრო მოსამსახურეებმა სხვებზე უკეთ იცოდნენ, რომ 9 ნოემბრის ცეცხლის შეწყვეტა რომ არა, მათ რიგებშიც და ყარაბაღის მშვიდობიან მოსახლეობაშიც მსხვერპლი ბევრად მეტი იქნებოდა, საბოლოო შედეგი კი მაინც იგივე დადგებოდა; 2. პოლიტიკურ დღის წესრიგში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების საკითხი შეიტანეს (მორიგი საპარლამენტო არჩევნები ქვეყანას 2023 წლის დეკემბერში უწევდა), რაც კანონიერ და მშვიდობიან შესაძლებლობას აძლევდა ოპოზიციას შეეცვალა ხელისუფლება, თუკი ამომრჩეველი ამ იდეას მხარს დაუჭერდა.

2021 წლის 20 ივნისს სომხეთში გაიმართა კიდეც ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. ადგილობრივი საარჩევნო კანონმდებლობის თავისებურებებში ჩაღრმავების გარეშე, პირდაპირ მის შედეგებზე შევჩერდეთ (ცხრილში):

	პარტია/ბლოკი	**ლიდერი**	**ხმები %**	**მანდატი**
1.	„სამოქალაქო ხელშეკრულება“	ნ. ფაშინიანი	53.92	71
2.	„ალიანსი არმენია“	რ. ქოჩარიანი	21.04	29
3.	ბლოკი „მაქვს პატივი“	ს. სარქისიანი	5.23	7
4.	„აყვავებული სომხეთი“		3.96	-
5.	„რესპუბლიკა“		3.04	-
6.	„სომხეთის ეროვნული კონგრესი“		1.54	-
7.	„განათ(ლ)ებული სომხეთი“		1.22	-

107 სადეპუტატო მანდატი ეროვნულ კრებაში სამმა პოლიტიკურმა სუბიექტმა გადაინაწილა; კიდევ ოთხმა ასე თუ ისე ანგარიშგასაწევი შედეგი აჩვენა; არჩევნებში მონაწილე სხვა 19-დან კი ვერც ერთმა ვერ დააგროვა ხმების 1%.

ნ. ფაშინიანის პარტიის ესოდენ დამაჯერებელი გამარჯვება წარუმატებელი ომიდან სულ რაღაც შვიდი თვის თავზე მრავალმა და სხვადასხვანაირმა ფაქტორმა განაპირობა[6], რომელთაგან აქ სამს გამოვყოფთ: 1. „ყარაბაღის კლანის“ მმართველობის ქვეშ დაბრუნების სურვილის არქონა (სხვა ალტერნატივა კი არჩევნებში რეალურად არ ყოფილა); 2. ყარაბაღის პრობლემის მოგვარების შანსის (თუნდაც არასახარბიელო პირობებზე) დაკავშირება სწორედ ნ. ფაშინიანთან და არამც და არამც - მის კონკურენტებთან; 3. ნ. ფაშინიანის პრემიერობის ხანმოკლე პერიოდში ქვეყნის შიგნით მიღწეული დადებითი ცვლილებების შენარჩუნება/ განვითარების სურვილი.

ასეთი მიღწევები კი ნამდვილად იყო. ასე, კორუფციის აღქმის ინდექსში სომხეთის რეიტინგი ჯერ ნახტომისებურად შეიცვალა უკეთესობისკენ ხელისუფლებაში ნ. ფაშინიანის მოსვლის შემდეგ, მერე კი მომდევნო წლებშიც უმჯობესდებოდა (შედარებისთვის მოცემულია საქართველოსა და აზერბაიჯანის მონაცემებიც)[7]:

წელი	სომხეთი	საქართველო	აზერბაიჯანი
2021	**58**	45	128
2020	**60**	45	129
2019	**77**	44	126
2018	**105**	41	152
2017	**107**	46	122

თვალშისაცემი იყო დადებითი დინამიკა ისეთი ინდიკატორების კუთხითაც, როგორიცაა ეკონომიკური თავისუფლება, პრესის თავისუფლების ხარისხი (სადაც 51-ე ადგილოსანმა სომხეთმა გაუსწრო კიდეც 89-ე ადგილზე ჩამოქვეითებულ საქართველოს; აზერბაიჯანი 154-ეა 180 სახელმწიფოს შორის[8]), დემოკრატიის მდგომარეობა და სხვა. ცხადია, პანდემიამ თავისი უარყოფითი დაღი სომხეთის ეკონომიკასაც დაასვა, მაგრამ მისი გაჯანსაღების პროცესი დამკვირვებლების ეჭვს არ იწვევდა. მოქალაქეთა მოწონება დაიმსახურა აგრეთვე რეფორმამ საგზაო პოლიციაში, რომელიც, ქართულის დარად, მობილურ საპატრულო პოლიციად გარდაიქმნა[9].

ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს კი ვადამდელი საპრეზიდენტოც მოჰყვა (2018 წლიდან სომხეთი საპარლამენტო რესპუბლიკაა და ერთობ შეზღუდული უფლებამოსილებების მქონე პრეზიდენტს იქ 7 წლის ვადით ირჩევს ეროვნული კრება). 2018 წლის 2 მარტს არჩეულმა არმენ სარქისიანმა (რევოლუციამდელი ხელისუფლების მიერ წამოყენებულმა) 2022 წლის 23 იანვარს გადადგომის შესახებ განაცხადა. მანამდე, 11 იანვარს, მან გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც, კერძოდ, აღნიშნა, რომ 1990-იანების დასაწყისში სომხეთმა, მრავალი საუკუნის მანძილზე პირველად, კი არ დაკარგა, არამედ დაიბრუნა ისტორიული ტერიტორიები თავისი შესაძლებლობებით მნიშვნელოვნად აღმატებულ მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში; შემდგომში ის სასურველის სინამდვილედ წარმოჩენის მრავალწლიან გზას დაადგა, როცა იმიტაციამ ჩაანაცვლა რეალური საქმეები და შექმნა ილუზია, თითქოს სომხობას ჰქონდა კარგად ორგანიზებული სახელმწიფო, მოწინავე ეკონომიკა და მეცნიერება, ძლიერი არმია, თუმცა სინამდვილეში ვითარება სულ სხვა იყო; ამით მხოლოდ თვითონ სომხები მოტყუვდნენ და საკუთარ დამარცხებასაც ჩაუყარეს საფუძველი; მერე კი მარცხმაც არ დააყოვნა და სომეხ ერს „საერთო-ეროვნული ფსიქოლოგიური სასოწარკვეთილების მორიგი მომენტიც“ დაუდგა[10].

მოკლედ, ა. სარქისიანი გაემიჯნა სომხეთის პოლიტიკურ კლასს, როგორც ასეთს, და წავიდა; როგორც ჩანს, საერთოდ წავიდა პოლიტიკიდან. ნ. ფაშინიანის 71-მანდატიან უმრავლესობას კი არ გასჭირვებია ახალი პრეზიდენტის არჩევა (კანონმდებლობით, მეორე ტურში 65 ხმა საკმარისი იყო საამისოდ).

სომხეთის ხიგით მეხუთე პრეზიდენტი 2022 წლის 3 მარტს გახდა 63 წლის ვაჰაგნ ხაჩატუხიანი, პროფესიით ეკონომისტი. 1990-1996 წლებში იყო ერევნის ქალაქის საბჭოს წევრი; 1992-1996 წწ. — ქალაქი მერი; 1995-1999 წწ. — ეროვნული კრების

(პარლამენტის) დეპუტატი; 1996-1998 წწ. იყო სომხეთის პირველი პრეზიდენტის — ლევონ ტერ-პეტროსიანის მრჩეველი, ხოლო 2013 წლიდან პრეზიდენტად არჩევამდე — პარტია „სომხური ეროვნული კონგრესის“ (ლიდერი - ლ.ტერ-პეტროსიანი) წევრი. 2021 წლის აგვისტოში დაინიშნა მაღალტექნოლოგიური მრეწველობის მინისტრად, რაც მის მიერ ნ. ფაშინიანის კურსის მხარდაჭერის გამოვლინებაა. იდეოლოგიურად მოიაზრება ლიბერალური ბანაკში. პრეზიდენტის ხანგში თავისი პირველი ოფიციალური ვიზიტით 2022 წლის 30 მაისს თბილისს ეწვია[11].

ამრიგად, შიდაპოლიტიკური ვითარება სომხეთში მეტ-ნაკლებად დალაგდა, ყველაზე მტკივნეულ საშინაო/საგარეო პრობლემად კი კვლავ ყარაბაღი და, უფრო ზოგადად, უსაფრთხოება დარჩა. 2022 წლის ივლისის IRI-ის საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის თანახმად, 54% სწორედ უსაფრთხოებას განიხილავს მთავარ გამოწვევად (კიდევ 11 პროცენტმა ის რიგით მეორე პრობლემად დაასახელა) მაშინ, როცა მეორე ადგილზე გასულ პოლიტიკურ არასტაბილურობას, შესაბამისად, 10% და 9%, ხოლო მესამე ადგილოსან ეკონომიკა/უმუშევრობას 5% და 11% ხვდა წილად[12]. გამოკითხვამ (ჩვენნაირ ქვეყნებში ნებისმიერი გამოკითხვის შედეგების მიმართ ფრთხილი დამოკიდებულების გათვალისწინებით) სხვა საინტერესო გონება-განწყობილებაც გამოავლინა. მაგალითად, აღმოჩნდა, რომ 32% მხარს უჭერს საპრეზიდენტო მმართველობაზე დაბრუნებას და ამის მხოლოდ ნახევარი — 16% — საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელის შენარჩუნებას (2015 წლის რეფერენდუმში უმრავლესობამ საპარლამენტო რესპუბლიკაზე გადასვლას დაუჭირა მხარი, თუმცა ხმის მიცემის პროცედურა სერიოზული კრიტიკისა და უნდობლობის საგანი გახდა). თურქეთთან ურთიერთობების ნორმალიზებას[13] მხოლოდ 7% პროცენტი უყურებს ერთმნიშვნელოვნად დადებითად და კიდევ 21% — გარკვეულწილად დადებითად. ნიშანდობლივია დამოკიდებულება უკრაინაში მიმდინარე ომის მიმართ; ასე, პასუხისმგებლობა უკრაინაში ომის გაჩაღებისთვის გამოკითხულთა 17%-მა დააკისრა აშშ-ს, 16%-მა — ყველა მხარეს თანაბრად, ვლადიმერ ზელენსკის პირადად — 14%-მა, ნატოს — 10%-მა, ვლადიმერ პუტინს პირადად - 8%-მა, უკრაინის ხელისუფლებას — 6%-მა, რუსეთის ფედერაციას — 5%-მა.

საფიქრალია, თუმცაღა, რომ შემდგომში ეს პრორუსული/ანტიდასავლური განწყობები (სხვებთან ერთად დასავლეთის დადანაშაულება 2020-ის მარცხში, რაც ზემოთ აღინიშნა) შეიცვალა, რაზეც მიგვანიშნებს საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის Gallup მიერ ნოემბერში ჩატარებული სატელეფონო გამოკითხვა[14]. სექტემბრის მოვლენებზე გამოკითხულების 69.3%-მა დადებითად შეაფასა საფრანგეთის რეაქცია, 68.8%-მა — ირანის, 62.3%-მა — აშშ-ის, 36.9%-მა — ევროკავშირის და მხოლოდ 29.6%-მა — რუსეთის (კუხოსი - 8%). რაც შეეხება საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის ვექტორს, 44.6% ფიქრობს, რომ გავლენის ყველა ცენტრთან უნდა ჰქონდეს სომხეთს ერთნაირი ურთიერთობები (2020 წლის გამოკითხვაში ამ აზრისა იყო 27.6%), 17.4%-ის აზრით, სომხეთი უნდა მოძრაობდეს რუსეთის მიმართულებით (2020-ში - 25.1%), 15.5% — აშშ-ისკენ (2020-ში - 9.2%), 9% — ევროკავშირში (2020-ში - 17.1%)[15]. აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ 2020-ში 7.2%-ს ჰქონდა კუხოს სამხედრო დახმარების იმედი, ხოლო ამჟამად ასეთი სულ 0.2 პროცენტია.

მაშ, რა მოხდა ისეთი 2022-ის სექტემბერში, რამაც საზოგადოებრივი აზრის, შესაძლოა, არა ტექტონიკური, მაგრამ თვალსაჩინო ძვრა გამოიწვია? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა მივყვეთ მოვლენებს, რომლებიც ომი-2020-ის დასრულების შემდეგ აზერბაიჯან-სომხეთის ურთიერთობების მოგვარების კონტექსტში განვითარდა. 9 ნოემბრის სამმხრივმა განცხადებამ თითქოს გზა გაუხსნა შესაბამის პროცესს, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ზემოთ ითქვა, ყარაბაღის მომავალს (სტატუსს) მან გვერდი აუარა. იყო აზერბაიჯანის ერთმნიშვნელოვანი პოზიცია (ყოველგვარი სტატუსის გარეშე), მაგრამ მეორე (თუნდაც - დამარცხებული) მხარისთვის ამგვარი პერსპექტივა მიუღებელი იყო - Gallup-ის ზემოხსენებული გამოკითხვით, სომხეთის მოქალაქეების 90%-ს მიუღებლად მიაჩნია ყარაბაღის ყოფნა აზერბაიჯანის შემადგენლობაში ადგილობრივებისთვის მხოლოდ და მხოლოდ ეროვნული უმცირესობის სტატუსის მინიჭებით; იგივე მაჩვენებელი იყო მაისშიც.

კიდევ ერთი პრობლემა — საზღვრის დადგენა-დელიმიტაცია საკუთრივ სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის (მისი სიგრძე კი დაახლოებით ათასი კილომეტრია) — ვერც იქნებოდა 9 ნოემბრის განცხადების საგანი, მაგრამ ორმხრივი ურთიერთობების მოგვარების კუთხით ყარაბაღთან მიახლოებული მნიშვნელობისაა. მით უფრო, რომ საბჭოთა პერიოდში საზღვრის ორივე მხარეს შეიქმნა რამდენიმე მინიექსკლავი, როცა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე სომხებით კომპაქტურად დასახლებული პუნქტები ადმინისტრაციულად სომხეთის სს რესპუბლიკის დაქვემდებარებაში იყო და პირიქით. 90-იანების დასაწყისის ომის დროს ეს ექსკლავები დაიცალა მოსახლეობისგან და დღეს მათი ტერიტორიული მიკუთვნებულობის საკითხი ართულებს მთლიანად საზღვრის დელიმიტაციის საზოგადოებისთვის უაღრესად მგრძნობიარე პროცესს. თანაც, როგორც ასეთ შემთხვევებში ხდება ხოლმე, მხარეები სხვადასხვა დროის და ვითარების ამსახველ რუკებს იყენებენ არგუმენტად, რუსეთი კი ამბობს, რომ „ნამდვილი“ რუკები მხოლოდ მის ხელთაა და მის გარეშე ეს პრობლემა ვერ მოგვარდება[16].

დაბოლოს (მიუხედავად იმისა, რომ პრობლემური თემების ჩამონათვალი შეგვიძლია გავაგრძელოთ) – 9 ნოემბრის განცხადების ტექსტის სხვადასხვანაირი ინტერპრეტირება, რაც ასევე ხდება ხოლმე, როცა მხარეებს შორის ნდობა არ არსებობს. კერძოდ, იქ, სადაც საუბარია „ლაჩინის დერეფნისა“ და აზერბაიჯანიდან სომხეთის ტერიტორიის გავლით ნახიჩევანისკენ მიმავალი გზის უსაფრთხოებაზე, აზერბაიჯანი ორივე მათგანს ერთსა და იმავე სიბრტყეში განიხილავს („დერეფანი“), სომხეთი კი ასიმეტრიაზე ლაპარაკობს (ლაჩინი — დერეფანია, ნახიჩევანის გზა — არა). საქმე კი ისაა, რომ „დერეფანი“ ერთგვარ ექსტერიტორიულობას გულისხმობს, ანუ — დაუბრკოლებელ გადაადგილებას, როცა ის მხარე, რომლის ტერიტორიაზეც ეს დერეფანი გადის, არც საბაჟო და არც სასაზღვრო კონტროლს არ აწარმოებს (თუკი ეს საგანგებოდ არაა შეთანხმებული). სომხეთი ამ დავაში განცხადების ტექსტზე აპელირებს (სადაც ასიმეტრია მართლაც არის), აზერბაიჯანი კი — საღ აზრსა და ლოგიკაზე, რადგან ვერ ხედავს, რატომ უნდა სარგებლობდეს ერთნაირი დატვირთვის მატარებელი ორი მარშრუტი სხვადასხვა სტატუსით.

სწორედ საგზაო ინფრასტრუქტურის აღდგენის საკითხს მიეძღვნა მნიშვნელოვანწილად მორიგი სამმხრივი შეხვედრა უმაღლეს დონეზე, რომელიც 9 ნოემბრის განცხადებიდან ორი თვის თავზე ისევ მოსკოვში გაიმართა, მაგრამ ხილული შედეგები ვერ გამოიღო. ამასობაში კი დასავლეთშიც დაფაცურდნენ — მოსკოვის ამარა პროცესის მიშვება არ ივარგებსო. ყარაბაღისთვის 2020 ომის თვე-ნახევრის მანძილზე თამაშგარე მდგომარეობაში დარჩენილ დასავლეთში მიხვდნენ, რომ მათი ქმედითი ჩართულობის გარეშე რეალურ მოხაზულობას შეიძენს „სამხრეთკავკასიური პლატფორმის" ან ირანული (3+3, ანუ სამი სამხრეთკავკასიური სახელმწიფო + სამი უშუალო მეზობელი — რუსეთი, თურქეთი და ირანი), ან თურქული (იგივე ექვსეული ორ რანგად მათი დაყოფის გარეშე) ვერსია. მიუხედავად საქართველოს დაუფარავი სკეპტიციზმისა ამგვარი ვერსიების მიმართ (სწორედ დასავლეთის გამორიცხვის გამო)[17], პროცესების თვითდინებაზე მიშვება არც ბრიუსელში და არც ვაშინგტონში არ მიიჩნიეს შესაძლებლად. მით უფრო, რომ თურქეთის მიმართ ნდობა იქ მაღალი არაა, რომ აღარაფერი ითქვას ირანზე.

სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის კონფლიქტის საბოლოო მოგვარების თაობაზე მოლაპარაკებების მასპინძლობა/შუამავლობაც დასავლეთმა იკისრა (თუმცა, დასავლეთში შეხვედრების შემდეგ სომეხი და აზერბაიჯანელი მომლაპარაკებლები დემონსტრაციულად ჩადიოდნენ რუსეთშიც, რათა ეს უკანასკნელი რაიმე სახის პროვოკაციების მოსაწყობად არ განეწყოთ). ამ კუთხით მნიშვნელოვანი იყო შეხვედრები 2022 წლის ოქტომბრის პირველ დეკადაში, პრაღაში ევროპული პოლიტიკური თანამეგობრობის სამიტის ფარგლებში (რუსეთის ფედერაცია და ბელარუსი პრაღაში არ მიიწვიეს), სადაც ნ. ფაშინიანსა და ი. ალიევს შორის ინტენსიური მოლაპარაკებები გაიმართა სხვადასხვა ფორმატში. სამიტის დასრულების შემდეგ გავრცელდა განცხადება, რომ სომხეთი და აზერბაიჯანი შეთანხმდნენ ერთმანეთის ტერიტორიული მთლიანობის აღიარების თაობაზე.

დასავლეთის გააქტიურება სომხეთს და აზერბაიჯანს ხელს აძლევს, რადგან მათი სტრატეგიული მიზანი უფრო ემთხვევა დასავლეთისას, ვიდრე რუსეთისას, მარტივი გარემოების გამო: დასავლეთი მომხრეა კონფლიქტის მოგვარებისა მხარეებისათვის ურთიერთმისაღებ, რუსეთი კი - *თავისთვის* მისაღებ პირობებზე. ეს მკაფიოდ გამოჩნდა, როცა დასავლეთმა მოგვარების ასეთი მარშრუტი შესთავაზა ერევანსა და ბაქოს: აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის ფარგლებში ყარაბაღის სტატუსის განსაზღვრა, სახელმწიფოთაშორისი საზღვრის დელიმიტაცია, ერთმანეთის ტერიტორიული მთლიანობის აღიარება და დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება. რუსეთმა ამ ფორმულაში ერთადერთი (მაგრამ - როგორი!) კორექტივი შესთავაზა მხარეებს - ყარაბაღის სტატუსის განსაზღვრის საკითხის 25 წლით გადადება. ეს კი უზრუნველყოფს რუსი სამშვიდობოების ყარაბაღის ზონაში, მინიმუმ, ამავე ვადით დარჩენას, ანუ ორივე მხარეზე ზეწოლის ბერკეტებს შეუნარჩუნებს რუსეთს. ამავე მიზანს მოემსახურება ყარაბაღში (სომხური კონტროლის ქვეშ დარჩენილ მის ნაწილში) ახალი პრემიერის („სახელმწიფო მინისტრის") დანიშვნაც; ეს თანამდებობა 4 დეკემბერს დაიკავა 1968 წელს ერევანში დაბადებულმა რუბენ ვარდანიანმა. რუსეთში მოღვაწე ამ წარმატებული ბიზნესმენის ქონება Forbes-მა შეაფასა 1 მლრდ. დოლარად. სექტემბრის დასაწყისში

მან განაცხადა, რომ უარს ამბობს რუსეთის მოქალაქეობაზე და საცხოვრებლად ყარაბაღში გადადის. თავდაპირველად მან შორს დაიჭირა თავი თანამდებობის დაკავებისგან, მაგრამ შემდეგ გადაწყვეტილება შეცვალა. მისი თქმით, ბოლო ორი წლის განმავლობაში ადგილობრივებს გაუჩნდათ განცდა, რომ ისინი ყველამ დაივიწყა და არავის სჭირდება; „მთელი მსოფლიოს სომხობა ვალდებულია გვერდში დაუდგეს მათ“, თქვა მილიარდერმა[18].

ნ. ფაშინიანისთვის (და სომხური საზოგადოებისთვის) რთული იყო რუსული სატყუარას იგნორირება. *ღღესვე* ყარაბაღის აზერბაიჯანის განუყოფელ ნაწილად აღიარებას პრობლემის საბოლოო მოგვარების სამომავლოდ გადადება (რა იცი, რა იქნება 25 წლის შემდეგ?!) უფრო მოსახერხებელია პოლიტიკურადაც და ემოციურადაც. აზერბაიჯანი კი საპირისპირო აზრისაა: ის *ღღეს* გამარჯვებულია და ახლავე სურს პრობლემის საბოლოოდ მოგვარება, როცა ძალის პოზიციიდან შეუძლია მოწინააღმდეგესთან საუბარი და სომხეთის მხრიდან პროცესის გაჭიანურების მცდელობას აზერბაიჯანის მხრიდან ძალის დემონსტრირებამაც არ დააყოვნა.

12-13 სექტემბრის ღამით სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვრის რამდენიმე მონაკვეთზე (არა უშუალოდ ყარაბაღში!) ინტენსიური ბრძოლები დაიწყო (შედარებით მცირე მასშტაბით ორმხრივი ცეცხლი მანამდეც გაუხსნიათ უკვე ომი-2020-ის დასრულების შემდეგ). ცეცხლის შეწყვეტა მხოლოდ 14 სექტემბრის საღამოს მოხერხდა, რა დროისთვისაც დაიღუპა (ან უგზო-უკვლოდ დაიკარგა) დაახლოებით 200 სომეხი და 80 აზერბაიჯანელი სამხედრო მოსამსახურე. ერევანმა მოწინააღმდეგეს ბრალი დასდო 10 კვ.კმ. სომხეთის ტერიტორიის დაკავებაში, ბაქომ კი უპასუხა, რომ განალაგა ჯარები საზღვრის გასწვრივ „საკუთარ მიწაზე“.

აი, ამ ვითარებაში მიმართა სომხეთმა დახმარებისთვის კუხოს (რომლის წევრებიც, სომხეთის გარდა, არიან რუსეთის ფედერაცია, ბელარუსი, ყაზახეთი, ყირგიზეთი და ტაჯიკეთი), რისი ფორმალური საფუძველიც მას ამჯერად ჰქონდა. განსხვავებით ყარაბაღისგან, რომელიც არავის მიერ ყოფილა აღიარებული და რომლის უსაფრთხოების თაობაზე არც კუხოს და არც ცალკე აღებულ რუსეთის ფედერაციას (რომელსაც სომხეთთან სამხედრო თანამშრომლობის სფეროში ბევრი ხელშეკრულება აქვს გაფორმებული) არანაირი ვალდებულებები არ ჰქონიათ, კუხოს წევრი-ქვეყნის მიმართ აგრესია, ამ ორგანიზაციის წესდებით, საპასუხო ზომების გატარებას ითვალისწინებს (ჩრდილოატლანტიკური ქარტიის მე-5 მუხლის მსგავსად). ილუზია იმის თაობაზე, რომ მოკავშირეები აზერბაიჯანის წინააღმდეგ გაილაშქრებდნენ (ცენტრალური აზიის სახელმწიფოების გარდა, ოფიციალური მინსკიც არ მალავს სიმპათიებს აზერბაიჯანის მიმართ), ერევანს არ ჰქონია; მაგრამ რუსეთის განზე გადგომამ მაშინ, როცა არსებობდა ინფორმაცია, რომ აზერბაიჯანული ცეცხლის ქვეშ რუსეთის სამშვიდობოებიც კი მოექცნენ (მათ რიგებში, თუმცაღა, მსხვერპლი არ ყოფილა), აღშფოთება გამოიწვია სომხეთში.

მორალური მხარდაჭერა სომხეთს აღმოუჩინა არა რუსეთმა, არამედ აშშ-მ. 19 სექტემბერს ერევანში ჩაფრინდა კონგრესის წარმომადგენელთა პალატის იმდროინდელი სპიკერი ნენსი პელოსი, რომლის ვიზიტმაც მოქალაქეებში ერთმნიშვნელოვნად დადებითი ემოციები გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ თავად ნ. პელოსის რიტორიკა მოზომილი იყო და მან მიანიშნა მასპინძლებს, რომ

სომხეთი თავად უნდა ჩამოყალიბდეს იმის თაობაზე, თუ რა სურს აშშ-ისგან, გაჩნდა განცდა, რომ ვაშინგტონი არ დატოვებს სომხეთს რუსეთის ანაბარა[19].

ამ თვალსაზრისით უფრო შორს წავიდა საფრანგეთი. ქვეყნის სენატმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებს აღმასრულებელ ხელისუფლებას შემოიღოს სანქციები აზერბაიჯანის წინააღმდეგ[20], რამაც ბაქოს მკვეთრად უარყოფითი რეაქცია გამოიწვია. ეს მით უფრო იყო მოსალოდნელი, რომ აზერბაიჯანში საფრანგეთი ისედაც „პროსომხურ“ სუბიექტადაა მიჩნეული და ამის მორიგი დასტური ბაქომ მალევე მიიღო. ნოემბრის შუა რიცხვებში ტუნისში გამართულ ფრანკოფონული ქვეყნების ორგანიზაციის[21] შეხვედრაზე მიღებული ერთობლივი დოკუმენტი ოფიციალურმა ბაქომ საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონის თანადგომით სომხური[22] ლობიზმის დამსახურებად შეაფასა და უარი განაცხადა შემდგომში საფრანგეთის შუამავლობით სამშვიდობო მოლაპარაკებებში მონაწილეობაზე. შესაბამისად, გაურკვეველი ვადით გადაიდო 7 დეკემბრისთვის დანიშნული შეხვედრა ი. ალიევსა და ნ. ფაშინიანს შორის ბრიუსელში.

ბაქოში ანტიფრანგული განწყობების ფონზე, ერევნის ქუჩებში რუსეთით უკმაყოფილება გადმოიღვარა. 22 ნოემბერს კუხოს სამიტზე ჩასულ რუსეთის პრეზიდენტს საპროტესტო დემონსტრაცია დახვდა, ხოლო საკუთრივ სამიტის შემაჯამებელ დოკუმენტებს სომხეთის პრემიერმა ხელი არ მოაწერა. „ბოლო ორი წლის განმავლობაში კუხოს წევრი-სახელმწიფო, სულ მცირე, სამჯერ გახდა აზერბაიჯანის შეტევების ობიექტი და აქამდე ჩვენ, ფაქტობრივად, არ გვქონია კუხოს რეაქცია აზერბაიჯანის აგრესიაზე, რაც დიდი დარტყმაა კუხოს იმიჯზე“ — განაცხადა ნ. ფაშინიანმა სამიტზე გამოსვლისას“[23], რითაც თანამემამულეთა გულისნადები გააჟღერა.

იმავდროულად ბაქომ რუსეთის სამშვიდობოების მიმართაც გამოხატა უკმაყოფილება იმ მოტივით, რომ ისინი სომხეთიდან ყარაბაღში ლაჩინის დერეფნით იარაღისა და ტყვია-წამლის, ხოლო შემხვედრი მიმართულებით - ოქროს შემცველი კონცენტრატების გადატანაზე თვალს ხუჭავენ. თავისი გულისწყრომა აზერბაიჯანმა საქმითაც გამოხატა, გადაკეტა რა 3 დეკემბერს მოძრაობა ლაჩინის დერეფანში 3 საათით. მიუხედავად ამ მცირე დროისა, აქციამ მოახდინა იმის დემონსტრირება, თუ რამდენადაა მოწყვლადი ყარაბაღი და იქაური სომხური მოსახლეობა (დაახლოებით 100 ათასი), რომელსაც საკუთრივ სომხეთთან მხოლოდ ლაჩინის დერეფანი აკავშირებს. მომდევნო დღეებში აზერბაიჯანმა ასეულობით „ეკოაქტივისტის“ ხელით (და ფეხით) ხანგრძლივად გადაკეტა ეს დერეფანი (რითაც რუსი სამშვიდობოების არაეფექტიანობაზე მიანიშნა), ხოლო ყარაბაღის მოსახლეობას ბუნებრივი აირის მიწოდება შეუწყვიტა (მისი მოწყვლადობის დასადასტურებლად.)

თუკი გავითვალისწინებთ, რომ ამასობაში ჯერ ირანმა ჩაატარა სამხედრო სწავლებები აზერბაიჯანის საზღვართან, შემდეგ კი ამას გაერთიანებული აზერბაიჯანულ-თურქული სწავლებები მოჰყვა საზღვრის მეორე მხარეს (რაც ცალკე საუბრის თემაა), ცხადი ხდება, რომ არა მხოლოდ ყარაბაღის პრობლემის საბოლოო მოგვარებამდე, არამედ სომხეთ-თურქეთ-აზერბაიჯან-ირანის მოსაზღვრეობის ზონაში სტაბილურობის მიღწევამდე და კომუნიკაციების აღდგენამდე გზა ჯერ კიდევ შორია.

მოკლედ, ისედაც მოუწესრიგებელი „მონასტერი“ კიდე უფრო აირია. სომხეთი ცდილობს დანაკარგების მინიმიზებას; აზერბაიჯანი — მონაპოვრის მაქსიმიზებას; რუსეთი, თურქეთი და ირანი — რაც შეიძლება მეტი სარგებლის ნახვას; დასავლეთი — ახალი ესკალაციის არდაშვებას; საქართველო — საკუთარი ორიენტაციის შენარჩუნებისა და შეზღუდული შესაძლებლობების პირობებში, ცდილობს სასარგებლო იყოს სამხრეთ კავკასიაში მდგრადი მშვიდობის დამყარებაში[24]. ეს ყველაფერი კი უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე ხდება.

* * *

ავტორი მადლიერია მკითხველის, რომელმაც ამ სტრიქონებამდე მოაღწია და დასასრულს აღნიშნავს შემდეგს:

- წინამდებარე მასალა არ გახლავთ, როგორც დღეს იტყვიან, ინსაიდერის ხედვა; ეს არის ხედვა გარედან, თუმცა — არა შორეთიდან;
- ბიბლიოგრაფიაში მოტანილია ათიოდე ნაშრომი, რომლებიც ავსებენ საერთო სურათს (ზოგან კი საკუთარი ბიბლიოგრაფიაც აქვთ დართული);
- ზუსტად ოთხი წლის წინ - 2018-ის დეკემბერში — ავტორის მიერ „ექსპერტის აზრის“ სერიაში გამოქვეყნებული წერილი სომხეთის „ხავერდოვანი რევოლუციის“ შესახებ მთავრდებოდა სიტყვებით: „არ იქნება 2019 წელი ადვილი ჩვენი მეზობლებისთვის. მით უფრო — Merry Christmas and Happy New Year, Armenia!”.

მაშინდელი დაკვირვება/პროგნოზი ისევე, როგორც გულწრფელი სურვილი, დღესაც ძალაშია.

შენიშვნები და ბიბლიოგრაფია

1. Заявление Президента Азербайджанской Республики, Премьер-министра Республики Армения и Президента Российской Федерации, 10 ноября 2020 г. http://kremlin.ru/events/president/news/64384
2. ომისა და მისი შედეგების თაობაზე უფრო ვრცლად იხ.: ***ი. ხაინდჩავა:*** „ომი-2020 ყარაბაღისთვის და ძალთა თანაფარდობა სამხრეთ კავკასიაში"; კრებულში: „კონფლიქტები და მშვიდობა სამხრეთ კავკასიაში", HEKS/EPER, მშვიდობისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრი, თბილისი, 2019.
3. დაწვრილებით კომუნიკაციურ პროექტებზე ყარაბაღის გარშემო კონფლიქტის მოგვარების შემთხვევაში იხ. მაგ.: *Thomas de Waal:* "IN THE SOUTH CAUCASUS, CAN NEW TRADE ROUTS HELP" NOVEMBER 8, 2021 HTTPS://CARNEGIEEUROPE.EU/2021/11/08/IN-SOUTH-CAUCASUS-CAN-NEW-TRADE-ROUTES-HELP-OVERCOME-HISTORY-OF-CONFLICT-PUB-85729?UTM_SOURCE=CARNEGIEEMAIL&UTM_MEDIUM=EMAIL&UTM_CAMPAIGN=ANNOUNCEMENT&MKT_TOK=MDK1LVBQVI04MTMAAAGAOQYM49JRPTI0DK-FLRJNQC7HQQ1TPKHQ1YWG9LM8NFARJYXGJBSXZVNFSP7PIWUXNYJ099HNTRMG_T1SPZ5SW5UQMMRVFWTCV7OQ0F8TGMM
4. ნ. ფაშინიანის ხელისუფლებაში მოსვლის შესახებ იხ.: ***ი. ხაინდჩავა:*** „ხავერდი ფაშინიანისგან, ანუ რევოლუცია სომხურად"; GFSIS, დეკემბერი 2018 https://gfsis.org.ge/ge/publications/view-opinion-paper/113
5. ***Никол Пашинян:*** «Истоки 44-дневной войны», Январь 04, 2021 https://hetq.am/ru/article/126011
6. იხ. მაგ.: ***К.Кривошеев:*** «Кандидат Баку, Москвы, или Запада. Как новая победа Пашиняна изменит регион» 22.06.2021 https://carnegie.ru/commentary/84808
7. https://www.transparency.org/en/cpi/2021?gclid=EAIaIQobChMIuuL4jPfV-wIVBNGyCh2KnAUYEAAYASAAEgKV0_D_BwE
8. „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე": https://rsf.org/en/index?year=2022
9. იხ.: https://www.crrc.am/wp-content/uploads/2022/09/IRIpoll2022Presentation_CRRC-Armenia_Public-Slides_CISR-Approved.pdf
10. ***Армен Саркисян:*** «О неизбежности построения содержательного государства» 11.01.2021 https://www.president.am/ru/press-release/item/2021/01/11/President-Armen-Sarkissians-article/s
11. საქართველო-სომხეთის ურთიერთობები — ცალკე და ფოკუსირებული განხილვა/ანალიზის თემაა (ავტორის შენიშვნა).
12. https://www.crrc.am/wp-content/uploads/2022/09/IRIpoll2022Presentation_CRRC-Armenia_Public-Slides_CISR-Approved.pdf
13. ამ თემაზე იხ. მაგ.: ***ნ. ჩანაღიხი:*** „სომხეთ-თურქეთის ურთიერთობათა ნორმალიზაციის პროცესი: შესაძლებლობები და ბარიერები", GFSIS, 2022 https://gfsis.org.ge/ge/publications/view-opinion-paper/178
14. https://armeniatoday.news/society-ru/555763/ 29 ნოემბერი, 2022.
15. უფრო ვრცლად სომხეთის საგარეო პოლიტიკის თაობაზე იხ.: ბ. პოღოსიანი: „სომხეთის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები 2021 წლის ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ", GFSIS, 2021, https://gfsis.org.ge/ge/publications/view-opinion-paper/168
16. Выступление В.Путина на заседании дискуссионного клуба «Валдай», 21.10.2021 http://kremlin.ru/events/president/news/66975
17. იხ. მაგ.: ***ს. ძამუკაშვილი:*** „3+3 რეგიონული თანამშრომლობის ინიციატივა და საქართველო: რა დევს სასწორზე", GFSIS, 2022 https://gfsis.org.ge/files/library/opinion-papers/175-expert-opinion-geo.pdf

18. https://www.forbes.ru/profile/ruben-vardanyan 04.11.2022

19. „Визит Нэнси Пелоси в Ереван: завышенные ожидания и суровые реалии“ 19.09.2022 https://verelq.am/ru/node/115002

20. საფრანგეთის სენატმა ისიც მოახერხა, რომ 2020 წლის ნოემბერში, უკვე ომი-2020-ის დასრულების შემდეგ, 305 ხმით 1-ის წინააღმდეგ მიიღო რეზოლუცია (ასევე სარეკომენდაციო ხასიათისა) ყარაბაღის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ (ავტორის შენიშვნა).

21. 1970 წელს დაფუძნებული ფრანგულენოვანი ქვეყნების ორგანიზაცია, რომლის 58 წევრ-სახელმწიფოს შორის სომხეთიცაა (2008 წლიდან); ტუნისის შეხვედრაში, სხვა სახელმწიფოების ლიდერებთან ერთად, მონაწილეობა მიიღეს ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა შარლ მიშელმა, ბელგიისა და კანადის პრემიერ-მინისტრებმა ალექსანდერ დე კრუმ და ჟასტინ ტრიუდომ (ავტორის შენიშვნა).

22. „Azerbaijan Slams France, Armenia Over Francophonie Summit Document, Remarks“ 11.20.2022 https://www.rferl.org/a/azerbaijan-criticizes-france-armenia-francophonie/32138926.html?ltflags=mailer

23. RFERL, November 24, 2022 https://www.rferl.org/a/armenia-csto-pashinian-criticism/32145663.html?ltflags=mailer

24. იხ. მაგ.: ***ე. ავდაღიანი:*** „სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ინიციატივებში კოლექტიური დასავლეთი მინიმალურ, ან საერთოდ არანაირ როლს არ შეასრულებს, ინიციატივა რუსეთის, თურქეთის და ირანის ხელში იქნება“ 11.10.2021 https://www.interpressnews.ge/ka/article/678268-emil-avdaliani-samxret-kavkasiis-usaprtxoebastan-dakavshirebul-iniciativebshi-kolektiuri-dasavleti-minimalur-an-saertod-aranair-rols-ar-sheasrulebs-iniciativa-rusetis-turketis-da-iranis-xelshi-ikneba